EU Information and Documents Centre
PARLIAMENT OF GEORGIA

ევროპის დროით

ევროკავშირის საინფორმაციო
და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველოს პარლამენტში

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

აპრილი 2010 №4 (16)

ევროკავშირი სავიზო საკითხებზე საქართველოსთან თანამშრომლობას აძლიერებს

27 აპრილს ევროკომისიამ საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებით რეკომენდაცია შეიმუშავა. ხელშეკრულებების სამუშაო ვარიანტები ევროკავშირისა და საქართველოს შორის ბოლოდროინდელი მოლაპარაკებების შედეგია. მათი მიზანია ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების გაძლიერება, საქართველოს მოქალაქეებისათვის ევროკავშირის მოკლევადიანი ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივება და ამასთანავე, ერთობლივი მოქმედება არარეგულირებული მიგრაციის წინააღმდეგ.

„მე მტკიცედ ვუჭერ მხარს საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გამარტივებას. სავიზო ბარიერების შემცირება ადამიანების დაახლოვებას, მოქალაქეების მთელი ევროპის ტერიტორიაზე მგზავრობასა და ურთიერთდაკავშირებას შეუწყობს ხელს. მოხარული ვარ, რომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაძლიერებული თანამშრომლობა შედეგს იძლევა. ამ ხელშეკრულებების ამოქმედების შემდეგ საქართველო უფრო მჭიდროდ იქნება დაკავშირებული ევროკავშირთან," - აღნიშნა შინაგან საქმეთა საკითხებში ევროკომისარმა - სესილია მალმსტრომმა.

ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულებების სამუშაო ვარიანტები ევროკავშირისა და საქართველოს შორის ბოლოდროინდელი მოლაპარაკებების შედეგია. მათი ძალაში შესვლის შემდეგ საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის მოკლევადიან ვიზებზე განაცხადების შეტანის პროცედურები გამარტივდება და სწრაფი გახდება, შემცირდება შესავსები დოკუმენტების რაოდენობა და სავიზო გადასახადი. ამასთანავე, რეადმისიის შესახებ ხელშეკრულება უზრუნველყოფს ევროკავშირში უკანონოდ მყოფთა სამშობლოში დაბრუნებას.

ევროკომისია რეკომენდაციებითა და წინადადებებით მიმართავს ევროპარლამენტსა და ევროკავშირის საბჭოს, მოახდინონ სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის ხელშეკრულებების გაფორმება, რათა ისინი რაც შეიძლება მალე შევიდეს ძალაში.

გამოყენებული წყარო:
www.delgeo.ec.europa.eu

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა ახალი პროექტის განხორციელება დაიწყო

2010 წლის პირველი მაისიდან კონრად ადენაუერის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა „საქართველოს რადიოს" პირველ არხზე (FM 102,4) დაიწყო გადაცემათა ციკლი „ევროპის დროით".

ყოველ შაბათს 12 საათზე ჩვენ მოგიყვებით ყველაფერს ევროპის კავშირისა და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების შესახებ. როგორ შეიქმნა ევროპის კავშირი, რომელი ქვეყნებია მასში გაწევრიანებული და რა ფუნქცია აკისრია ამ კავშირს? როგორ განვითარდა და ახლა რა ეტაპზეა საქართველო—ევროკავშირის ურთიერთობები, რატომ გვინდა, რომ საქართველო ევროპის კავშირის წევრი იყოს და რა გზის გავლაა ამისთვის საჭირო? ყველა ამ თემაზე თითოეულ გადაცემაში ჩვენ გვეყოლება ექსპერტი, რომელიც დაწვრილებით ისაუბრებს თქვენთვის საინტერესო საკითხზე და პასუხს გასცემს მსმენელთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

გადაცემის ბოლოს დავსვამთ ვიქტორინის კითხვას და გამარჯვებულს გადაეცემა ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ—ევროპული საკონსულტაციო ცენტრის (GEPLAC) მიერ მოწოდებული წიგნები ევროპის კავშირის შესახებ. გადაცემის ჩანაწერების ნახვა შესაძლებელი იქნება საქართველოს პარლამენტისა და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ვებგვერდებზე. (www.parliament.ge; www.eu-committee.ge)

მფეფან ფიულემ საქართველოში ვიზიტის შედეგები შეაჯამა

7 აპრილს ევროკავშირის გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის ევროკომისარი - შტეფან ფიულე საქართველოს ეწვია. აღნიშნული ტურნეს ფარგლებში ევროკომისარი ასევე იმყოფებოდა სომხეთში, აზერბაიჯანსა და უკრაინაში.

28 აპრილს შტეფან ფიულე ევროპის პარლამენტის წინაშე წარსდგა, სადაც მან ვიზიტის შედეგები შეაჯამა.

„საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და უკრაინის პრეზიდენტებმა, პრემიერ-მინისტრებმა, პარლამენტარებმა, ოპოზიციამ და სამოქალაქო საზოგადოებამ კიდევ ერთხელ დაადასტურეს ევროკავშირთან უფრო დაახლოებული და ღრმა ურთიერთობების დამყარების შესახებ მზადყოფნა," — აღნიშნა ფიულემ.

ევროკომისრის განცხადებით, ვიზიტის დროს აქტიურად განიხილებოდა საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გამარტივების საკითხი. ფიულემ ასევე აღნიშნა, რომ საქართველო ძალიან მალე დაბალი ტარიფებითა და გამარტივებული სავიზო პროცედურებით ისარგებლებს.

ევროკომისარმა მიმოიხილა საქართველოსთან დაკავშირებული ყველა აქტუალური საკითხი, მოიწონა საქართველოში მიმდინარე რეფორმები და ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში საქართველოს მთავრობის სტრატეგია. მან ასევე აღნიშნა, რომ ბევრ სფეროში კვლავ მეტი წინსვლაა საჭირო.

საკონტაქტო ინფორმაცია

ევროკავშირის საინფორმაციო და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველო, თბილისი 0118
რუსთაველის გამზირი 8
საქართველოს პარლამენტი, C კორპუსი, ოთახი 126
ტელ.: (995 32) 92 37 03
ელ. ფოსტა: euinfocentre@parliament.ge

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი
საქართველო, თბილისი 0118
რუსთაველის გამზირი 8
ტელ.:(995 32) 28 17 08; (995 32) 28 13 92
ფაქსი: (995 32) 28 13 49
ელ.ფოსტა: europa@parliament.ge

აპრილის დაიჯესტი

ნატო ბოსნია-ჰერცეგოვინას გაწევრიანების სამოქმედო გეგმა მიანიჭა

22 აპრილს ტალინში შეკრებილმა ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა, ცხარე დისკუსიის მიუხედავად, თანხმობა განაცხადეს ბოსნია- ჰერცეგოვინასთვის ბლოკში გაწევრიანების სამოქმედო გეგმის გადაცემის თაობაზე. მინისტრებმა იმედი გამოთქვეს, რომ კანდიდატის სტატუსის მიღება ხელს შეუწყობს ქვეყანაში მნიშვნელოვანი რეფორმების გატარებას.

ნატოს გენერალური მდივნის, ანდერს ფოგ რასმუსენის განცხადებით, ყველა ბალკანურ ქვეყანას აქვს ალიანსში გაწევრიანების პერსპექტივა.

ბოსნია-ჰერცეგოვინამ გაწევრიანების სამოქმედო გეგმა 2009 წელს მოითხოვა და ბოლო ერთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება შეძლო. მათ შორის აღსანიშნავია ჭარბი საბრძოლო მასალისა და შეიარაღების განადგურების კუთხით გატარებული ღონისძიებები. ქვეყანამ ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციაში.

ევროკავშირი მსხვილი ფერმერებისთვის სუბსიდიების შემცირებაზე ფიქრობს

ევროკომისია, გაერთიანების სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის მოახლოვებული რეფორმის ფარგლებში, ევროპის უმსხვილესი ფერმერებისთვის დახმარების შემცირებას აპირებს. თუმცა, სავარაუდოდ, აღნიშნულ წამოწყებას ევროგაერთიანების ქვეყნებში არაერთგვაროვანი გამოხმაურება ექნება.

12 აპრილს მოეწყო საჯარო დებატები ევროკავშირის სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის მომავალის შესახებ, რომლის დროსაც ევროკომისარმა სოფლის მეურნეობის საკითხებში — დაციან ციოლოშმა განაცხადა, რომ ამ საკითხზე ახალი მიდგომებია საჭირო. ციოლოშმა ასევე აღნიშნა, რომ ცვლილებები 2014 წლიდან უნდა განხორციელდეს, მას შემდეგ, რაც არსებული საბიუჯეტო ციკლი (2007-2013 წლები) დასრულდება.

სოფლის მეურნეობის სფეროში მოღვაწე ერთ-ერთი ორგანიზაციის მონაცემებით, ევროკავშირი ფერმერული მეურნეობებისთვის ყოველწლიურად დაახლოებით 55 მილიარდი ევრო სუბსიდირებას ახდენს, რაც მთლიანი ბიუჯეტის 40%-ზე მეტს შეადგენს.

თუკი მცირე ფერმერებისთვის ევროკავშირის დახმარება მართლაც გადარჩენის ერთადერთი წყაროა, მსხვილი კომერციული ბიზნესებისთვისაც ყოველწლიურად სუბსიდიის სახით 500 000 ევროს გამოყოფა ევროპული საზოგადოების უკმაყოფილებას იწვევს.

2007 წელს ევროკომისია აღნიშნული თანხის 300 000-მდე შემცირებას აპირებდა, თუმცა წევრი ქვეყნების უმრავლესობამ ცვლილებას მხარი არ დაუჭირა. განსაკუთრებულად წინააღმდეგნი მსხვილი ფერმების მქონე გაერთიანებული სამეფო და გერმანია იყვნენ.

ჩინეთი ევროკავშირისათვის საშიში პროდუქციის მწარმოებელთა სიის ლიდერია

15 აპრილს ევროკომისიამ გამოაქვეყნა მოხსენება, რომლის თანახმადაც, ჩინური წარმოების სამომხმარებლო პროდუქცია ჯანმრთელობისთვის საშიშთა სიას სათავეში უდგას.

2009 წელს ევროკავშირის მასშტაბით უხარისხო და სახიფათო პროდუქციაზე შემოსული მოქალაქეთა 1993 საჩივრიდან 60% ჩინურ ნაწარმს ეხებოდა, მათ შორის, სათამაშოებს, ტანსაცმელს, მანქანებს, საფეიქრო ნაწარმსა და საკვებს. ყოველწლიურ მოხსენებაში ასევე ნათქვამია, რომ ჩინური პროდუქციის მსგავსი პროცენტული მაჩვენებელი ნაწილობრივ ევროკავშირის ბაზარზე მათი ფართო გავრცელებითაა გამოწვეული.

ჯანმრთელობის დაცვისა და სამომხმარებლო პოლიტიკის საკითხთა ევროკომისარი — ჯონ დალი ჩინეთში პირადად გამგზავრებას გეგმავს, რათა ოფიციალური პეკინი დაარწმუნოს იმაში, რომ საშიში პროდუქციის წარმოებას თვითონვე უნდა ებრძოლოს აქტიურად. მოხსენების მიხედვით, ჩინეთის შემდეგ სიაში გერმანია და იტალია არიან.

ევროკავშირი ყირგიზეთს დემოკრატიის სანაცვლოდ დაეხმარება

20 აპრილს ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესმა წარმომადგენელმა - კეტრინ ეშტონმა განაცხადა, რომ ევროკავშირის მხრიდან ყირგიზეთის ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერა პირდაპირ არის დაკავშირებული ახალი მთავრობის მზადყოფნაზე, საკუთარ თავზე დემოკრატიული ქმედებების ვალდებულება აიღოს.

„იმ შემთხვევაში, თუ დროებითი მთავრობა ლეგიტიმურ ჩარჩოებს დაუბრუნდება და გამოთქვამს სურვილს დემოკრატიული ოჯახის წევრი გახდეს, ევროკავშირი მზადაა ყირგიზეთს საჭირო პოლიტიკური, ფინანსური თუ ტექნიკური მხარდაჭერა გაუწიოს", - აღნიშნა ეშტონმა. გარდა ამისა, მან ხაზი გაუსვა საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენის აუცილებლობას და ბოლო პერიოდში მომხდარი მკვლელობებისა და ძალადობის ფაქტების გამოძიება მოითხოვა.

ყირგიზეთის დროებით მთავრობას ამჟამად ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი — როზა ოტუნბაიევა უდგას სათავეში. ოტუნბაიევას გუნდი პირობას იძლევა, რომ რიგგარეშე არჩევნებს დანიშნავს და ყირგიზეთის კონსტიტუციაში მნიშვნელოვან ცვლილებებს შეიტანს.

ყირგიზეთში დღემდე გრძელდება ეთნიკური დაჯგუფებების მიერ დანაშაულის ჩადენა. ამის გამო მუდმივ კრიტიკაშია დროებითი მთავრობა, რომელიც, ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, ვერ აკონტროლებს ქვეყნის უსაფრთხოებას. Human Rights Watch-ის მიხედვით, ყირგიზეთის მთავრობამ მოითხოვა უკანასკნელი მოვლენების საერთაშორისო დონეზე გამოძიება. თუმცა ამისათვის ოფიციალური მოთხოვნა უნდა გაეგზავნოს არსებულ ინსტიტუტებს, რათა მათ დროულად მოახდინონ რეაგირება.

ბელგია მუსლიმური ჩადრის ტარების აკრძალვას გეგმავს

ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ბელგია შესაძლოა პირველი იყოს, ვინც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მუსლიმური ჩადრის ტარებას აკრძალავს.

ბელგიის პარლამენტის საშინაო საქმეთა კომიტეტმა 2 სახეობის ქალის მუსლიმური ატრიბუტის, რომლებიც სახესა და მთელ სხეულს ფარავს, აკრძალვას მხარი ერთხმად დაუჭირა. აკრძალვის დაწესების შემთხვევაში, კანონდამრღვევს 15-20 ევროს ოდენობის ჯარიმის

გადახდა მოუწევს და შესაძლოა, საქმე 7 დღიან პატიმრობამდეც მივიდეს.

ბელგიელი კანონმდებლების განმარტებით, ადამიანები ამოცნობადები უნდა იყვნენ და არ უნდა მალავდნენ სახეს, თუკი ამას მათი პროფესიული საქმიანობა არ ითხოვს, ან კანონით ნებადართული მასკარადი ან ფესტივალი არ ტარდება.

ბელგიის რამდენიმე უბანში საზოგადოებრივ ადგილებში ასეთი აკრძალვა უკვე მოქმედებს. აღნიშნულმა წამოწყებემამ ბელგიურ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ზოგიერთი პოლიტიკოსი მიესალმება სიახლეს, ხოლო მუსლიმთა უფლებების ბევრი დამცველი აღნიშნავს, რომ ასეთი კანონი არღვევს ქალთა ფუნდამენტურ უფლებას. მათი აზრით, ის ხელს შეუწყობს იმ ქალთა იზოლირებას, რომლებიც იძულებულნი არიან ჩადრი ატარონ.

თუკი მომავალ თვეებში ბელგიის პარლამენტი პლენარულ სხდომაზეც დაამტკიცებს ამ კანონს, ბელგია პირველი ევროპული ქვეყანა იქნება, ვინც აკრძალავს საზოგადოებრივ ადგილებში მთლიანი სხეულის დაფარვას.

საფრანგეთშიც დაინტერესდნენ მსგავსი ღონისძიების გატარებით, მაგრამ კონსტიტუციურ საკითხებში მრჩეველთა საბჭომ იგი ქვეყნის მთავარ კანონთან შეუსაბამოდ მიიჩნია.

ევროკავშირში გაზის ტრანსპორტირების სამხრეთის მიმართულებებზე კონკურენცია იზრდება

24 აპრილს ავსტრია რუსული გაზის კომპანიის - „გაზპრომის" მიერ დაფინანსებულ „სამხრეთის ნაკადის" პროექტს შეუერთდა, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს „ნაბუქოს" გაზსადენთან არსებული კონკურენციის სიმწვავეს. „სამხრეთის ნაკადის" გაზსადენის მიზანს უკრაინის გვერდის ავლით რუსული გაზის იტალიაში ტრანსპორტირება წარმოადგენს.

ავსტრია, რომელიც ბუნებრივი აირის 60%-ს რუსეთისგან იღებს, მეშვიდე ქვეყანა გახდა, რომელიც 900 კილომეტრიან სამხრეთის ნაკადს შეუერთდა. რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ პუტინის განაცხადებით, მას შემდეგ, რაც „სამხრეთის ნაკადი" ამოქმედდება, რუსეთიდან ავსტრიაში ბუნებრივი აირის ნაკადის სიმძლავრე ორი მილიარდი კუბური მეტრით გაიზრდება. რუსეთის პრემიერ-მინისტრმა არასერიოზულად აღიქვა კონკურენტი „ნაბუქოს" მიმდინარე მოსამზადებელი სამუშაოები და ხაზი გაუსვა მისი განხორციელებისთვის საჭირო კონტრაქტების არარსებობას.

ავსტრიის კანცლერმა - ვერნერ ფეუმანმა აღნიშნა, რომ იგი უსაფუძვლოდ მიიჩნევს აღნიშნულ ორ პროექტს შორის კონფლიქტს და ავსტრია, რომელიც ასევე მხარს უჭერს „ნაბუქო"ს პროექტს, დაინტერესებულია ბუნებრივი აირით მომარაგების დივერსიფიცირებით.

გამოყენებული წყაროები:
www.euobserver.com ;
www.euractiv.com

ევროლექსიკონი

ევროკავშირის ერთიანი ბაზრის პოლიტიკა

ევროკავშირის შიდა ბაზარი ერთიანი სივრცეა, სადაც გარანტირებულია საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და მოქალაქეების თავისუფალი გადაადგილება. იგი 1993 წლიდან მოქმედებს და ამ დროის მანძილზე შეიქმნა ბევრი დამატებითი სამუშაო ადგილი, მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი ფასები, მოქალაქეთა კეთილდღეობის ზრდისა და ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემო.

ერთიანი ევროპული ბაზრის საბოლოო ჩამოყალიბებისათვის გადამწყვეტია ტრანსნაციონალური ბიზნეს სფეროს განვითარება. ეს მოიცავს მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის ამაღლებას, რეგულირების გარემოსა და საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებას, ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვასა და სხვა ნაბიჯების გადადგმას.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში ევროკავშირი სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციასაა მიერთებული, რომელთა დიდ ნაწილს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა (WIPO) და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) მოთხოვნები მოიცავს. ამ კუთხით ევროკავშირში ორი ძირითადი ინსტრუმენტი ფუნქციონირებს:

- შიდა ბაზართან ჰარმონიზაციის ოფისი (OHIM), რომელიც პასუხისმგებელია გაერთიანებაში სავაჭრო ნიშნების და დიზაინის რეგისტრაციაზე;
- ევროპული საპატენტო ოფისი (EPO).

ამჟამად ევროკავშირში საპატენტო სისტემის გაუმჯობესებაზე აქტიური მუშაობა მიმდინარეობს, რაც მისი ხელმისაწვდომობისა და იურიდიულად ეფექტურობის გაზრდას გულისხმობს, რათა მომხმარებელი და პატიოსანი მწარმოებელი მეკობრული პროდუქციის წარმოებისა და გასაღებისაგან დაცულ იქნას.

სახელმწიფო სექტორში პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის ღია სატენდერო სისტემაზე გადასვლამ ასევე ხელი შეუწყო კერძო სექტორში კონკურენციისა და ხარისხის ამაღლებას. წლების მანძილზე ევროკავშირმა გააუმჯობესა საკონტრაქტო პროცესების საკანონმდებლო ბაზა, გაზარდა გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ხარისხი. ამ სფეროს გაუმჯობესების მიზნით შემოღებულ იქნა ტენდერების ელექტრონული ბაზა, ერთიანი კლასიფიკაციის სისტემა, საჯარო შესყიდვების ერთიანი საინფორმაციო სისტემა და სხვა.

საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილების უზრუნველსაყოფად საბაჟო და სასაზღვრო რეგულაციების სფეროში გატარდა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები.

ამჟამად ევროკავშირის პოლიტიკა ერთიან ბაზარზე არსებული რეგულაციების კიდევ უფრო გამარტივებისაკენაა მიმართული, რათა ამ სისტემიდან მოქალაქეებმა მაქსიმალური სარგებელი მიიღონ.

ევრო პაიჭრა

ვაგრძელებთ დაიჯესტის წინა ნომრებში (იხ. „ევროპის დროით" 2010 წლის N1, N2, N3) დაწყებულ რუბრიკას - **განათლება ევროპაში** და გაწვდით ინფორმაციას კიდევ ერთი სასწავლო სტიპენდიის შესახებ.

ნიდერლანდის სამეფოს ფონტისის უნივერსიტეტის სტიპენდიები განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატის (თუნდაც 1-ლი კურსის) სტუდენტებისთვის, რომელთაც სურთ ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ფონტისის უნივერსიტეტის საინჟინრო და საინფორმაციო ტექნოლოგიების კოლეჯებში გაიარონ 4 წლიანი სრულგანაკვეთიანი სასწავლო კურსი საინჟინრო საქმესა და საინფორმაციო ტექნოლოგიებში.

გარდა ჩვეულებრივ დადგენილი სტიპენდიებისა, განსაკუთრებით წარჩინებულ სტუდენტებს იმ ქვეყნებიდან, რომლებიც ევროკავშირის წევრები არ არიან, უნივერსიტეტი თავაზობს დამატებით სტიპენდიას 2000 ევროს ოდენობით. აღნიშნული სტიპენდიები ითვალისწინებს კანდიდატისთვის სასწავლო კურსის გავლასთან დაკავშირებული ხარჯების ნაწილობრივ ანაზღაურებას. კერძოდ, სწავლის საფასურად ოფიციალურად დადგენილი 7200 ევროდან სტუდენტს საკუთარი სახსრებით მოუწევს მხოლოდ 1700 ევროს ანაზღაურება, ვინაიდან სასწავლო პროგრამის 1-ლი კურსიდან დამწყები სტუდენტები სტანდარტულად დადგენილი სტიპენდიის (3500 ევრო) გარდა მიიღებენ აგრეთვე დამატებით სტიპენდიას 2000 ევროს ოდენობით.

დაინტერესებულმა კანდიდატებმა საიაპლიკაციო ფორმაში მითითებულ სხვა დოკუმენტაციასთან ერთად უნდა წარმოადგინონ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (6.0 ქულა IELTS-ის შეფასებით, ან TOEFL-ის ტესტით დაგროვილი მინიმუმ 550 ქულა). სტიპენდიის მოსაპოვებლად განაცხადის გაგზავნის ბოლო ვადაა 2010 წლის 1 ივნისი.

მოცემულ პროგრამაზე დამატებითი ინფორმაციისთვის და საიაპლიკაციო ფორმის მისაღებად, გთხოვთ იხილოთ შემდეგი ბმული:

http://fontys.edu/ictandengineering/Scholarships%28Prospective%29/all.htm

2010 წლის 3-7 მაისს თბილისში გაიმართება გერმანიის „იულიხის კვლევითი ცენტრისა (The Research Centre Jülich (FZJ)" და ქართველი პარტნიორების: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა (სტუ) და მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის ერთობლივი, რიგით მე-4 კონფერენცია „ქართულ-გერმანული სკოლა-სემინარი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში".

აღნიშნულ ღონისძიებას წინ უძღოდა რამდენიმე ნაყოფიერი შეხვედრა კერძოდ, 2004 - 2006 წლებში კავკასიურ-გერმანული სკოლა-სემინარი ადრონულ ფიზიკაში (''Caucasian - German School and Workshop in Hadron Physics'' - (CGSWHP '04; CGSWHP'06) და 2008 წლის აგვისტოში ჩაშლილი ღონისძიება.

კონფერენციის სათაურში გაერთიანებული „სკოლა და სემინარი" გულისხმობს მეცნიერული განათლების მისაღებად კარიერის საწყისი ეტაპიდანვე სტუდენტების აქტიურ ჩართულობას, ხოლო მომდევნო შეხვდრებზე იგეგმება ლექციების კურსი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის კურსდამთავრებულთათვის.

სემინარზე სხვადასხვა საინტერესო თემებზე იმსჯელებენ, მათ შორის განსახილველად წარმოადგენენ „საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ქართულ-გერმანული ვირტუალური ინსტიტუტის" ჩამოყალიბებისა და მისი მომავალი საქმიანობის საკითხებს.

უფრო დაწვრილებით კონფერენციის მიმდინარეობის შესახებ იხილეთ შემდეგი ვებგვერდი:

http://www.fz-juelich.de/ikp/cgswhp/



გვკითხეთ ევროკავშირის შესახებ 28 18 29

euinfocentre@parliament.ge

კონრად ადენაუერის ფონდის დაფინანსებით
"ევროპის დროით"
იბეჭდება საქართველოს 4 რეგიონულ გაზეთში

Konrad Adenauer Stiftung
Regionalprogramm Politischer Dialog Südkaukasus

ნომერზე მუშაობდნენ: ლევან ნაცვლიშვილი, ირინა ცერცვაძე, თეა ცარიელაშვილი, თამარ ჭელიძე, მარიკა კაჭარავა, სალომე სვანაძე

"ევროპის დროით" ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ვებ-გვერდზე: www.eu-committee.ge